№ 78

პარასკევი, 23 აპრილი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 78

პარასკევი, 25 აპრილი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავადი ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძე** შვილებითურთ, **თავ. ევგენი გრიგოლის ძე გეგუთოვი, კნეინა ანნა გრიგოლის ასული ერისთავისა** და **კნ. ელისაბედ გრიგოლის ასული წულუკიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ, რა ნათესავთა და ნაცნობთა უეცრად გარდაცვალებას პირველი—მეუღლისა მეორენი—დედისა და დანარჩენი—დისა, **კნ. ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძისას** სოფ. დოესში (გორის მაზრა), სთხოვენ მათ მობრძანდნენ უთმაბათს აპრილის 24-ს, ქალაქ გორს სომხის დედა-ღვთის ეკკლესიაში წირვისა და პანაშვიდის მოსასმენად.—მიცვალებული დაიკრძალება სოფ. ბრილში. (3—101—3)

**სამკერვალო სკოლა**

**ქალთა ამხანაგობისა**

მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.

ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა, № 3.

(3—3)

ტფილისი, 24 აპრილი.

ცალიერი ინჟენერობა, მკურნალობა და ადვოკატობა*) იმას არ მოასწავებს, რომ კაცი განათლებულია, კაცური-კაცია, ერის სულიერ ძალ-ღონის მანიშნებელია და ერთობ ბურჯია, რომელზედაც შესაძლოა ერმა თავისი ნატვრა პირველობისა და უპირატესობისა დაამყაროს. აქ, გარდა დიპლომისა, სხვა საფანელიც უნდა, და ვისაც ეს საფანელი ან არა აქვს, ან არაფრად მიაჩნია, იმან რაც გინდ კუისავით ფეხი გამოჰყოს და ხმა-მაღლა დღე ყოველ იყვიროს „მეც ნახირ-ნახირო“, სასაცილოდ აგდების მეტ ვერას მოიხვეჭს-რა სხვათა ერთა შორის. ერი, რომელიც პირველობას და უპირატესობას სჩემობს ათიოდ, ისიც ჩვენებურ ინჟენერებით, მკურნალებით და ადვოკატებით, მარტო თავისს თავს ატყუებს და სხვას არავისს. სხვას ამისთანა ამბავი სიცილადაც არა ჰყოფნის. ამისთანა ამბავი უფრო ფუქსავატობის ნიშანია, ვიდრე ჭკუა-დაჯდომილობისა.

გვეტყვიან: ინჟინერობა, მკურნალობა და ზოგჯერ ადვოკატობაც იმას ხომ მოასწავებს, რომ კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოუვლია და ცოდნა მიუღია. ეს მართალია. ამის წინააღმდეგ ვერას ვიტყვით. უმაღლესს სასწავლებელში ყოფილს და იქ ცოდნა მიღებულს თავისი ფასი აქვს და უარარაობას მაინც ესა სჯობია. მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. ერთ ნაირი ცოდნაა, რომლის სამზღვრები отъ селѣ до селѣ-ა და კაცი მარტო ამ სამზღვრებში მოიმწყვდევს ხოლმე თავსა და ამას იქით არ მიდის. ვინც მარტო ამისთანა ცოდნას ჰკმარობს,—უმაღლესი სასწავლებელი გამოუვლია, თუ უმდაბლესი,—დიდი თაბაუთი არ არის. ორგანვე ამისთანა ცოდნა მკვდარი ცოდნაა და მკვდარი, დიდი იყოს თუ პატარა,—ორივ ერთნაირად დასამარხია, ერთნაირად ანდერძ ასაგებელი.

ამისთანა უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია მარტო უნიჭობისა და უნიჭო ბეჯითობას უფრო ეადვილება, ვიდრე ნიჭიერს და ცოცხალს გამჭრიახობასა. ამიტომაც არც საკვირველია, რომ ამისთანა ცოდნის გზაზე მკვდარი ბეჯითობა სძლევს ხოლმე სიცოცხლით სავსე ნიჭსა, რომელიც არ იშვნევს, არ იტანს, რაც-კი უსულადოა, უსიცოცხლოა. დარვინები და ლიბიხები ზარმაცებად ცნობილ იყვნენ და სასწავლებლებიდამ დათხოვნილ უვარგისობისა გამო, რადგანაც მკვდარ ბეჯითობას ეურჩებოდნენ და ერიდებოდნენ. მკვდარი ბეჯითობა შემძლებელია ცოდნის დიპლომამდინაც მიცოცდეს, ხოლო რის მაქნისია ამისთანა დიპლომ-მოსილი ცოდნა?

ამ შემთხვევაში დიპლომი მარტო ნიშანია, მოწმობაა იმ ეგრედ წოდებულ ოფიციალურ ცოდნა-მეცნიერებისა, რომელიც ჰკმარობს отъ селѣ до селѣ-ს ცოდნას. ესეთი მეცნიერება ძალიან შორს არის ნამდვილ სწავლა-ცოდნაზე. კიდევ ვიტყვით: ამ ოფიციალურს მეცნიერებას კაცი დასძლევს დალაგებულ ბეჯითობითაც, თვალებ-დახუჭვილ გაზეპირებითაც. ბევრი-ბევრი ამისთანა ცოდნა-მეცნიერებას ეთქმის, რომ უმაღლესი ცოდნაა წერა-კითხვისა. მართალია, სულ არარაობას წერა-კითხვაც კირგი საქონელია. ხოლო საქმე მარტო ამისთანა დიპლომიანი ცოდნა არ არის, როცა მართლა სწავლა-ცოდნაზე ვლაპარაკობთ და ამით თავის მოწონება და პირველობა გვინდა. აქ რაკი ბეჯითი დიპლომს ეღირსება, ხშირად საქმე ამითი თავდება. ამიტომაც ხშირად დიპლომი უფრო მოწმობაა ბეჯითობისა, გაზეპირებისა, ვიდრე ჭეშმარიტის სწავლა-ცოდნისა, რომლის უტყუარი ნიშანი ცხოველ მყოფელობაა, ქმნაა და შემოქმედობა და რომელიც ძლევით ჰმოსავს სულთასწრაფვას ადამიანისას პროგრესის გზაზე.

ნათქვამია, ხე ხილისაგან, ხილი ხისაგან იცნობებაო. აბა ერთი ვიკითხოთ ჩვენებიანთ ინჟენერები, მკურნალები და ადვოკატები რა ხილის ხენი არიან? თუ ინჟენერები ასე თავ-მოსაწონებლად ბევრი ჰყოლიათ, ცოდნა ინჟენერობისა სადღა არის? ან რა ცოდნის ხილი მოუსხამთ? წყალის გამოყვანა ტფილისში გვინდა და უცხოეთიდამ ვიბარებთ კაცებს, მოდით გვასწავლეთ სად მოვნახოთ წყლები, საიდამ როგორ წამოვიყვანოთ, თარაზო გაგვიტარეთ, ხარჯი აგვინუსხეთ, გეგმა დაგვიხატეთ და სხვა ამისთანა. აბა ჩვენში დაბადებული, ტფილისის არე-მარეში მცხოვრებელი აქაური ინჟენერი რომ იძულებულ გვყოფდეს უცხო ქვეყნელს დავეკითხოთ ამა ტფილისის ახლო-მახლოები მოგვიჩხრიკე და გვაჩვენე სად რა წყლებია, რომ მილით გამოვიყვანოთო,—და ამაზე მეტი სირცხვილი-ღა გინდათ? ჩვენში ჩვენებურმა კაცმა კი არ უნდა იცოდეს ტფილისის ახლო-მახლოები და ან გერმანიიდამ, ან საფრანგეთიდამ ახლად დაბარებულ კაცს უნდა ვეკითხებოდეთ? რა ჭკუა-ღა აძლევს ნებას ვისმეს, რომ ამის შემდეგ აქაური ინჟენერი ინჟენერად ახსენოს და მერე ამით თავიც მოიწონოს.

მოვინდომეთ და საჭიროდაც დანახულია უწმინდურების სადენად დახურული არხები გაიჭრას ტფილისში და ამით სიმყრალე და ათას გვარი მიზეზი სხვა-და-სხვა სნეულებისა მოსპონ და რა გგონიათ? იმ ბევრს ინჟენერთა შორის, რომლითაც თავი მოაქვთ, ერთიც იმისთანა არ გამოჩნდა, რომ ამ საქმეში ან ასე ან ისე გამოსდგომოდა ტფილისს და ამისათვისაც კაცები უცხოეთიდამ დავიბარეთ. ცოდნა თუ არის, რაღა ეშმაკებისათვის ინახვენ და იზოგვენ?

ეს ოცი წელიწადია საჭიროდ დანახულია ტფილისში რიგიანი საყასბო ააშენონ და დღეს აქამომდე იმ ბევრ ჩვენებიანთ ინჟენერებს ერთი რიგიანი გეგმაც ვერ შეუდგენიათ და ამ მხრით თუ წინ ფეხი წაუდგამს საქმეს ისიც უცხოელის შველით და შემწეობით და თავს იწონებენ-კი ინჟენერები გვყავსო. ამაებს ვიღა სჩივის? ქუჩების ქვით დაგება, ქუჩების მოკირცხვლა აბა რა დიდი საქმეა, ისიც-კი ვერ მოუხერხებიათ ჩვენებიანთ ინჟენრებს და ამისათვისაც სხვაგან ვეძებთ კაცებს, სხვაგნიდამ ვიბარებთ და ყოველ ამაებში ვფანტავთ სისხლის ოფლით მონაგარს ფულებს ტფილისის მკვიდრისას და მერე რამდენს? განა ერთი და ორი ასი თუმანი ფული გადუყლაპებიათ უცხოეთიდამ დაბარებულ კაცებისათვის, იმათის მისვლა-მოსვლისათვის, საგამრჯელოსათვის. ქუჩების მოკირცხვლამ ხომ, სომხები რომ იტყვიან, „ზაჰლა“ წაიღო, რადგანაც ახლად დაგებულმა ქუჩამ ერთი ორი კვირა რომ გასძლოს, მესამე და მეოთხე კვირას თითქმის ხელ-ახლავ დაგება უნდება და იღუპება ამოდენა ფული. ნეტავი ამით შიში ფეხისა და კისერის მოტეხისა აქაურ ქუჩებში მაინც მოშორებიყო ტფილისელს, კიდევ კაცი არას იტყოდა, ხარჯს ჯანი გავარდნოდა.

ყოველ ამას, ჩვენში რომ ვთქვათ, ის отъ селѣ до селѣ-ს ცოდნაც გაუძლევებოდა, რომ იყოს სადმე, მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ეგეთი ცოდნაც არსად არის, როგორც ეტყობა, იმ ბევრ ინჟენერთა შორის, რომელიც თითით საჩვენებლად გაგვიხადეს და თავიანთ სასიქადულოდ მიაჩნიათ. ქუჩის დაგების უნარიც რომ არა ჰქონდეთ, ინჟენერები,—ქართველნი იქნებიან, თუ სომხები,—რაღა თითით საჩვენებელია და თავ-მოსაწონებელი! ეს კიდევ არაფერი. აქ ცოტა რისამე დიპლომიანი ცოდნა მაინც უნდა. ჩვენ იმის მაგალითებიც ვიცით, რომ მარტო საღი ჭკუა და გამოცდილი თვალი საკმაოა გზა გაიგნოს და აქაური ინჟენერები აქაც, ამაშიაც-კი უკაცრაოდ ბძანებულან. ტფილისში საყასბოს ერთხანად გასუფთავებისათვის აქაურმა ინჟენერობამ თითქმის ხუთასი თუმანი ხარჯი აუნუსხა ქალაქის გამგეობას და ერთი უბრალო უდიპლომო, უსწავლელი კაცი გამოვიდა და ას ათს თუმნად საგანგებოდ გასწმინდა და მოაფაქიზა საყასბო. საყასბოს ფაქიზად შენახვისათვის აქაურმა ინჟენერობამ სამასი თუმანი ხარჯი ანუსხა ყოველ-წლივ, და ას ოც-და ათს თუმნად-კი უსწავლელმა უდიპლომო კაცმა იკისრა. აქ ხომ დიდი ცოდნა და მერე დიპლომიანი არ იყო საჭირო, რომ ესე სასაცილოდ ნახტომი შეშლოდათ.

აბა ყოველ ამაებს დააკვირდით და იკითხეთ: სად არის აქ ცოდნა? განა რომ მარტო ცარიელი ბეჯითობით და отъ селѣ до селѣ-ს გაზეპირებით მოპოებული დიპლომი ჯერ კიდევ არ არის ნიშანი ცოდნისა, განათლებას ნუღარ ვიტყვით.

მკურნალობაც ჩვენში ესეთივე განძია. ამაზე საუბარს სამერმისოდ გადავდებთ.

*) იხილეთ „ივერია“ № 75.

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა: მიხაილოვსკის არტილერიის აკადემიის მე-3 არტილერიის რაზმის პორუჩიკი ესაძე—კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადაში.

მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის მესამე გრენადერთა რაზმის პოდპოლკოვნიკი ჩიკვაიძე—ერევნის მე-13 ლეიბ-გრენადერთა რაზმში.

ჯილდო ებოძათ: აზნაურს კასილს ჯაფარიძეს—ორდენი წმ. სტანისლავის მესამე ხარისხისა.

თელავის მაზრის სოფ. ურიათუბნის მცხოვრებლებს გლეხს ალექსი დათუნაშვილს და სოფ. გრემისას ზაქარია გაგანიშვილს—ვერცხლის მედალი გულზედ სატარებლად ანნას ლენტით ზედწარწერით „გულ-მოდგინეობისათვის“.

გამორიცხულ იქმნა: ტფილისის სამაზრო პოლიციის მოხელე თავადი გიორგი ანდრონიკაშვილი, რადგან გადაყვანილია ეჩმიაწინის საპოლიციო გამგეობაში კანცელარიის მოხელედ.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა სახმოსნო სია, ახალგაზდა სომეხთა დასისა და ქალაქის განაპირა მცხოვრებ ამომრჩეველთა მიერ შედგენილი. ამ ნუსხაში ჩამოთვლილია სულ 80 კანდიდატი, რომელთ შორის 43 სომეხია დასახელებული, 18 ქართველი, 15 რუსი, 2 გერმანელი და 2 მაჰმადიანი. ამ ნუსხას სახელდობრივად ხვალ დავბეჭდავთ.

*** ტფილისის გუბერნატორს ნება დაურთავს თელავის მაზრის სოფ. ქუჩატანისა და ვაჩნაძიანის საზოგადოებისათვის მიჰყიდონ ბეღლებიდგან, ვისაც დასჭირდება, ფუთი პური 50 კაპ. ქუჩატანის საზოგადოებაში და 70 კაპ.—ვაჩნაძიანისაში. ამ გზით მოგებული ფული მაშინვე სასოფლო სამეურნეო თანხას უნდა მიემატოს.

*** ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს, რომელშიაც ამ ჟამად მხოლოდ შვიდი კლასია, მომავალ სამოსწავლო წელს მერვეც მიემატება თურმე.

*** სოფ. ზემო-მაჩხაანში რამდენიმე ოჯახობა მოწამლულა ახალის ყველით. ყველი მოუტანიათ შირაქიდგან. მოწამლულთაგან არავინ არ მომკვდარაო.

*** ქართულის საერო სიმღერების ხორო, ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით და ბ-ნ მჭედლიშვილის გამგეობით, უკვე დაბრუნდა პროვინციიდგან. როგორც შევიტყეთ, ამ დღეებში ხორო ტფილისშიაც აპირებს კონცერტის გამართვას.

*** ჩვენ მოგვივიდა პაწია წიგნაკი: „ჰონის შაგირდი“ ისტორიული ამბავი ზ. ჭ., მესამე გამოცემა გ. წივწივაძისა. წიგნაკი ჰღირს 7 კაპ.

*** „ტფილ. ლის.“-ს პეტერბურგიდგან სწერენ: განჯის გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე, სანამ გუბერნატორობის თანამდებობიდგან გადადგებოდეს, მისის თხოვნის თანახმად, დროებით სამსახურიდგან განთავისუფლებულ იქმნა. გუბერნიის მართვა-

გამგეობა მინდობილი აქვს ვიცე-გუბერნატორს დ. ს. ს. იაკობსონს.

⁂ იმავე გაზეთს ახალციხიდგან სწერენ: სამსახურიდგან გადამდგარ გენერალ მუსხელიშვილის საჩივრის გამო ბრალმდებლის ამხანაგი მოვიდა აქ, რომელმაც აქაურ მომრიგებელ მოსამართლის ბალაკირშჩიკოვის უკანონო მოქმედება უნდა გამოიძიოსო. ეს უკანონო მოქმედება ის არის, რომ მუსხელიშვილის საჩივრის გარჩევის დროს ბ-ნ ბალაკირშჩიკოვმა მას „უზრდელი“ დაუძახა და ამით შეურაცხება მიაყენაო. მომჩივანი მუსხელიშვილი უკვე გარდაცვლილა და გამომძიებელი იმას რაღას ჰკითხავდა, ხოლო მოწმეებმა საზოგადოდ საჩივრის სიმართლე დაამტკიცესო.

⁂ „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით, ახალსოფელში ყვავანა-ხველა გაჩენილა.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, 21 აპრილს, მუხრანსკის ქუჩაზედ, „იაფ ფასიან ნომრებში“ 4 სახადით ავადმყოფი აღმოუჩენიათ. იმავე დღეს ნომრები დაათვალიერეს: გუბერნიის ექიმმა ტ. ს. ქიქოძემ, მისმა თანაშემწემ, სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა სტეფანოვმა, საქალაქო ექიმმა გედალინმა და პოლიციამ. ყველა ავადმყოფი ყარსის რკინის გზის მუშები ყოფილან.

კამისიამ დაადგინა დეზინფექცია მოახდინოს და შემდეგ დაუყოვნებლივ დაიკეტოს ნომრების საერთო დარბაზი, საცა იაფ ფასად მრავალი ღარიბი კაცი ბინადრობდა. 22 აპრილს დარბაზი უკვე დაკეტილ იქმნა. მთელს სადგურში დეზინფექცია მოახდინეს. ყველა ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ექიმს გედალინს მიანდვეს გამოიკვლიოს—საიდგან გაჩნდა ეს სენი.

⁂ სოფ. გერი (გორის მაზრა). ამ ცოტა ხანში ერთი ფრიად შემაძრწუნებელი საქმე მოხდა ჩვენს სოფელში. აქაურმა გლეხმა ზურაბა ალბორიშვილმა მოჰკლა თავისი მეზობელი ბეჟან ბეკოშვილი. ალბორაშვილს ჰმართებოდა სამი აბაზი ბეკოშვილისა, რომელმაც რამდენიმეჯერ სთხოვა თურმე, მაგრამ ალბორაშვილმა არ დაუბრუნა. ბეკოშვილი მივიდა ალბორაშვილის სახლში იმ დროს, როცა ის სახლში არა ყოფილიყო და ძალათი თავისს ფულში ერთი ქვაბი წაეღო, როცა ალბორაშვილი დაბრუნდა სახლში ცოლმა უამბო ეს ამბავი და თან დაუმატა, რომ მეც გამლანძღაო. შემოირტყა ხანჯალი ალბორაშვილმა, მივიდა ბეკოშვილის სახლში, რომელსაც მარტო ეძინა თურმე ამ დროს, მძინარე ხანჯლით აჰკუწა და თავისი ქვაბი წამოიღო. შემდეგ თითონვე თავისის ფეხით მივიდა ბოქაულთან და უამბო თავისი საქციელი. ალბორაშვილი დაპატიმრებულია და საქმე გამოძიებაშია. როგორც ამბობენ, ამისთანა კაცის კვლა და დაჭრა ბეკოშვილებსა და ალბორაშვილებს შორის პირველი არ არის, დიდი ხანია მათ შუა მტრობა არსებობსო.

⁂ ქ. განჯა. 22 აპრილს, ღამის 12 საათზედ, აქაურის პოლიციის მცირე მოხელე ათის თავი (დესეტნიკი) ივანე პოლკოვნიჩენკო ავაზაკურად დახვდა იქაურისავე სასტუმროს „ევროპა“-ს პატრონს, შუშელ მოქალაქეს მირზოევსა, ბებუთით მოჰკლა და გაძარცვა. აი გარემოება ამ საქმისა: ღამის 12 საათზედ სასტუმროდგან თავისს სახლში ეტლით მიდიოდა თურმე დასაძინებლად მირზოევი. ამ დროს ეს ათის-თავი დახვდა, ეტლი დააყენებინა, დაუწყო ლაპარაკი, უცბად-კი ბებუთი დაჰკრა მუცელში, საჩქაროდ ჩაუყო ჯიბეში ხელი და ამოაცალა ქისა, რომელშიაც ათიდგან თორმეტ თუმნამდე ფული ყოფილა. დესეტნიკი საჩქაროდ გაიქცა თურმე, თავის პოლიციური ტანისამოსი და იარაღი სახელმწიფო ბაღში გადაჰყარა და თითონ-კი გადიკარგა სადღაც. ადგილობრივმა პოლიციამ ყოველივე ღონისძიება მიიღო დამნაშავის შესაპყრობად, მაგრამ ჯერ ვერას გამხდარა. ეს მოხელე ერთად-ერთი რუსი იყო განჯის პოლიციის მოხელეთა შორის და დიდი ხანი არ არის, რაც აქა ჰმსახურობს. როგორც იმის ბაშფორთიდგანა სჩანს, იგი სათადარიგო ჯარის-კაცი ყოფილა.

⁂ 20 აპრილს, ქალაქის მე-6 ნაწილში ციხის ძირთან ჩხუბი მოუვიდათ ნახიჩევნის მაზრის სოფ. კარაბახის მცხოვრებელს ჴასან-განდ-ყალ-ოღლისა და ამავე მაზრის სოფ. კიუზნუტის მცხოვრებელს მირზა-ჴუსეინ-ოღლის. პირველმა დასჭრა მეორე დანით მარცხენა ფეხში ჩხუბის დროს. დამნაშავე დააპატიმრეს.

⁂ 23 აპრილს, საღამოს 10 საათზედ, ჩხუბი მოუვიდათ ბესარიონ მხეიძის დუქანში, მადათოვის კუნძულზედ, რაჭის მაზრის სოფ. წესის მცხოვრებელს ზაქარია გოგობერიშვილს და სოფ. კრიხის მცხოვრებელს ლუკა ისაკაძეს. ჩხუბის დროს გოგობერიშვილმა კალმის დანით დასჭრა ზურგში ლუკა ისაკაძე. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 23 აპრილს, პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულს რაჭველმა ალექსი მესხმა გამოუცხადა, რომ წუხელის სათონე ღია დამრჩენოდა იარმუკაზედ, შესულან ვიღაცები, ამოუღიათ ყუთიდგან 25 მ., ჩამოუღიათ კედლიდგან კაჭრობის მოწმობა და წასულანო. გამოძიება სწარმოებს.

## ქუთაისის საურთიერთო კრედიტის წევრთა წლიური კრება.

20 აპრილს, საღამოს, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში ამ საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო, რომელმაც დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი გრიგოლ გიორგის ძე გამრეკელი. არჩეულ იქმნა დირექტორად ისევ ბ-ნი კირილე ლორთქიფანიძე, რომელიც ჯერით უნდა გამოსულიყო სამსახურიდან. კენჭი რომ დათვალეს, 173 თეთრი კენჭი აღმოჩნდა და 32 შავი.

ეს კრება ბევრნაირად საყურადღებოა: აქ ერთხელ კიდევ უნდოდა ესახელა თავი ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძეს, მაგრამ ბედმა ამ შემთხვევაში მეტის-მეტად უმტყუნა. სჩანს, ის რაში, რომელზედაც ამ ხუთი-ექვსის წლის წინად შეჯდა და რომელსაც თავისუფლად დააქროლებდა მთელს გუბერნიაში, ეხლა ძალიან დაღლილა, დაქანცულა, შესუსტებულა და ამის გამო მან დიდი მანძილის გავლა ვეღარ შესძლო: პატრონი იძულებული გახდა დაქვეითებულიყო, ჯილავში ხელი წაევლო და ისე ეთრია. საქმე ის გახლავთ, რომ ბ-ნ კალ. ჩიკვაიძემ მოინდომა ამ საზოგადოებაშიაც ისე ემოქმედნა, როგორც თავად-აზნაურობაში, მაგრამ, ეტყობა, გაჭრები ისე ადვილად დამყოლნი და დამჯერებელნი არა ყოფილან, როგორც თავად-აზნაურობა. ბ-ნ კალ. ჩიკვაიძემ განაცხადა საზოგადოებაში სურვილი, რომ დირექტორის ადგილზე კენჭის ყრა უნდა ჩემს სიძეს ბ-ნ ანტ. ჩხეიძესაო, რომელსაც ამ საზოგადოებაში თითქმის არავინ იცნობს; ბ-ნ დიდიმ ჩიკვაიძემაც, ძმამ კალისტრატისამ, რომელიც ადგილობრივს სასადგილ-მამულო ბანკში მწერლად ჰმსახურობს, ისურვა ეს ადგილი. ამგვარის კადნიერებით საზოგადოება მეტის-მეტად აღელდა და გაჯავრდა: სად ბ-ნ ანტ. ჩხეიძე და დიდიმ ჩიკვაიძე და სად დირექტორის ადგილიო!? ჰფიქრობდა და დრტვინავდა იგი. საზოგადოებამ ეს სურვილი ძმათა ჩიკვაიძეთა თავისის თავის დაცინვად მიიღო და მოითხოვა, რომ ბ-ნი კირ. ლორთქიფანიძე უკენჭოდ იყოს არჩეული.

კალ. ჩიკვაიძე: მე ვთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს, რომ ჩემი კანონიერი თხოვნა დააკმაყოფილოს, ე. ი. დაუდგას ყუთი ჩემს სიძეს ან. ჩხეიძეს და ძმას დ. ჩიკვაიძეს.

ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: „ძირს ჩიკვაიძეებიო!“ კალისტ. ჩიკვაიძემ ეს თავისის თავის შეურაცხებად ჩასთვალა და ბუზღუნით შესძახა: „ჩემს შეურაცხებას არავის შევარჩენ და, ვინც მე აქ შეურაცხმყოფს, გავუსწორდები არა როგორც წევრი ამ საზოგადოებისა, არამედ როგორც კალ. ჩიკვაიძეო!“

კირ. ლორთქიფანიძე: მე არა მსურს ჩემი ყუთი დაიდგას ბ-ნ დიდ. ჩიკვაიძის ყუთთან ერთად, უარს ვაცხადებ კენჭის ყრაზედ.

კალ. ჩიკვაიძე: მე ვთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს, ოქმში აღნიშნოს ბ-ნ კირ. ლორთქიფანიძის განცხადება, რომ იგი უარს აცხადებს კენჭის ყრაზე და, თუ პატიოსანი კაცია, თავისი სიტყვა უკან აღარ უნდა წაიღოს.

კირ. ლორთქიფანიძე: მე ამ საზოგადოებას ჩვიდმეტი წელიწადი ვემსახურები და, თუ იგი ღირსეულ კაცად მთვლის, კვლავაც მზად ვარ ვემსახურო, ხოლო, ვიმეორებ, დიდიმ ჩიკვაიძესთან ერთად მე კენჭს არ ვიყრი.

ამის შემდეგ ბ-ნმა კირილე ლორთქიფანიძემ კრებას თავი დაანება და წავიდა. საზოგადოებაში კვლავ ღელვა და დრტვინვაა, კვლავ ითხოვენ კირ. ლორთქიფანიძის უკენჭოდ არჩევას. კალ. ჩიკვაიძე კვლავ იმეორებს, რომ ყუთები ყველას უნდა დაედგასო. თავმჯდომარემ ყუთი დაუდგა მარტო კირ. ლორთქიფანიძეს, რომელიც საზოგადოებამ, როგორც მოგეხსენებათ, დიდის უმრავლესობით ამოირჩია. შემდეგ თავმჯდომარეს უნდოდა ყუთი დაედგა დიდიმ ჩიკვაიძისა და ჩხეიძისათვის, მაგრამ არც დ. ჩიკვაიძე და არც კალისტრატე აღარ იყო დარბაზში, ორივენი შეუმჩნევლად წასულიყვნენ კრებიდგან.

კრებამ ბანკის თავმჯდომარეს ბ-ნ პავლე ალექსის ძეს თუმანიშვილს ათის წლის ერთგულისა და სინიდისიანის სამსახურისათვის ათასი მანეთი ჯილდო დაუნიშნა.

სხვა საგანთა განხილვა ზეგისათვის გადაიდო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ხიზაბავრა.** 18 აპრილი, სოფელი ხიზაბავრა მთელს ჯავახეთში ერთად-ერთი სოფელია, სადაც სხვა ტომთან შეურევნელად 163 კომლი, 1700 სული ქართველობა სცხოვრობს. ხიზაბავრელებს წმინდად დაუცავთ ნამდვილი ქართული ენა მესხურის კილოთი და იმდენი ლეგენდა, შაირი, ლექსი და ხალხის თქმულებანი შეუნახავთ, რომ მთელი ტომები დაიწერება. ჩაცმულობითაც სრულებით განსხვავდებიან, ნამდვილად ისე აცვიათ ტანთ და თავზეც ისე ახურავთ ჩაბალახი, როგორც ზიჩის მიერ დასურათებულ ვეფხისტყაოსანშია ტარიელი და ავთანდილი. როცა ჯავახეთში ოსმალთა ცეცხლი და მახვილი შეუწყალებლად გრგვინავდა, მაშინ ვინც მაჰმადის რჯული უარჰყო, სცდილობდა თავის მერჯულეს შეჰკედლებოდა, ერთად ეცხოვრათ. ამ გვარად, ხიზაბავრაში სხვა-და-სხვა სოფლებიდგან გამოქცეულ ქართველებს მოუყრიათ თავი. მოგეხსენებათ, რომ ქართველი კაცი უვენახოდ ძნელი წარმოსადგენია და ამიტომაც მთელს ჯავახეთში მხოლოდ ხიზაბავრელები და მათი მეზობლები საროელი ქართველები ძველადვე მისდევენ მევენახობას.

ხიზაბავრელი ქართველობა 1700 სული დღევანდლამდე ერთ პატარა ძველ ეკკლესიის ამარა იყო, სადაც ოცი კაცი ძლივს დაეტეოდა, ამიტომაც დიდის მადლობის ღირსია მამა მიხეილ კარძიელი, რომელმაც ითავა და ახალის ეკკლესიის აშენების ნება-რთვა და გეგმა გამოიტანა. ეკკლესიის სამირკველი და ერთ საჟენამდე კედლები შარშანვე ამოიტანეს და ახლა-კი საქმე გაუჭირდათ, რადგან ეკკლესიას თავისი ფული მხოლოდ სამასი თუმანი ჰქონდა, ხარჯი-კი ორი ათას თუმნად არის აღრიცხული, ამიტომაც საჭიროა კეთილ მორწმუნე ქრისტიანეთა წყალობა და შეწევნა. სარატოვის ეპისკოპოსის ანტონ ცერის შუამავლობით სამინისტროდგან უკვე მოვიდა ნება-რთვა ხიზაბავრის ეკკლესიის ასაშენებლად ფულის მოკრებისა და ახლა მამა-მიხეილ კარძიელი საქართველოსკენ მიემგზავრება, სადაც იმედი აქვს ქრისტეს მორწმუნე ქართველები საოხად სულისა მათისა არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ამ საშვილიშვილო წმიდა საქმისათვის და თავიანთ მოძმე ძველ ქართველებს, ოსმალთა მძვინვარებისაგან გადარჩენილებს, ძმურად ხელს გაუწვდიან და ამით ზნეობრივს კავშირს განამტკიცებენ.

ხიზაბავრის ეკკლესიაზედ მიწერილია აგრეთვე რამდენიმე პატარა სოფელი ვარგავი, ბნელა და სხვ. ხიზაბავრაში ათი წელიწადი მეტია სამინისტრო სკოლა ჰმოქმედობს, 60 მოსწავლეა, წინად მასწავლებლად გეგიძე იყო და ახლა ბ-ნი იგითხანი დაუნიშნავთ, და იმედი გვაქვს, ახალი მასწავლებელიც შრომას არ დაიშურებს და ქართველთა დედა-ენას ყურადღებას მიაქცევს იმდენად მაინც, რამდენადაც პროგრამა და კანონი თხოულობს.

ილ. ალხაზიშვილი

**ქსნის ხეობა.** ს. ოძისში ერთი თვეა, რაც თხუთმეტამდე კაცი გარდაცვლილა. მიზეზი სიკვდილისა არავინ არ იცის, ისე ჩუმად და სწრაფად იხოცებიან. ეხლა სოფელ ახმაჯში შეჩვეულა ჩუმი ხალხის ჟლეტა და კიდევ კარგი, რომ ერთს იქაურს უცნობებია ექიმისთვის და ექიმიც მისულა, რომელსაც ავათმყოფის გასინჯვის შემდეგ შავი სახადი აღმოუჩენია. საკვირველია ასეთი დაუდევრობა ხალხისა. ექიმი ღვთისნიერი კაცია და არავის არასა სთხოვს, ოღონდ შეატყობინონ ავადმყოფობა. კიდევ კარგი, რომ შემთხვევით და უკანასკნელი ავადმყოფის წყალობით შევიტყეთ ხალხისგან „ჩუმის სიკვდილის“ ნამდვილი მიზეზი და სახელი, თორემ თქვენი მტერია—დაგვერეოდა ყველას! რაკი გამოკვლევით შავი სახადი აღმოჩნდა, ექიმი ბრომელი თავისის ორისავე ფერშლით დიდის გულ-მოდგინებით შეუდგა ავადმყოფობის განდევნას და დეზინფექციებს.

ქსნის ხეობის ყველა სოფლების გაწმენდა-გასუფთავების ზრუნვასაც შეუდგა ადგილობრივ პოლიციის დახმარებით. ამორჩეულ იქმნენ სანიტარები და ნელ-ნელა შეუდგნენ შავის ჭირის საბრძოლველად სამზადისს. კარგი იქნება, კერძო საზოგადოებათაც იფიქრონ რამე მოსალოდნელ ჭირის საბრძოლველ თანხის შესადგენად.

## პატარა საუბარი

სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ, ნათქვამია. მთესველნი ეგრედ წოდებულ „კულტურისა“ კავკასიაში სიტყვამან მათმან გამოაჩინა და თუ ცოტას კიდევ დავიცდით, ღმერთი მოწყალეა, სულ გადაგვიშლიან გულში, რა მოძღვრება სდებიათ და რა განძი გამოაქვთ „კულტურისა“, თავიანთ „კულტურულ“ ძალ-ღონის ნიშნად. ამას წინად ხომ გვილაღადეს, ჩვენს დავთარში გვიწერიაო, რომ „ჰუმანობა“, კაცთ-მოყვარეობა და სხვა ამისთანა „ფლასტი-ფლუსტები“ სულელობააო. რა ვქნათ, რაკი დავთარში ასე სწერებიათ, ამინ და კირილეისონ.

ეხლა სხვა ფურცელი იმავე დავთრისა გადაგვიშალეს და გვეუბნებიან: ვისმე რომ რაიმე წუნი დასდო და თუნდ შერისხო, იმას რაც გინდ ბევრი სიკეთე სჭირდეს, სიკეთე არ უხსენოო, თორემ ორ-თავიანი იანუსი გამოხვალო. რა თქმა უნდა, ისევ ორ-თავიანი იანუსი სჯობია ორგულსა და ორპირსა, თუნდაც იმიტომ, რომ ძველ საბერძნეთში იანუსი თუმცა ორ თავიანი იყო, მაინც ღირსებით იყო მოსილი, და ორ-პირი და ორ-გული-კი არ გვგონია ამისთანა პატივში ყოფილიყოს სადმე და ვისგანმე ოდესმე.

საქმე ამაში არ არის. სხვას რომ ავი რამ შეჰნიშნო, თუნდ შერისხო, რაც გინდ სხვა სიკეთე ჰქონდეს, არ უხსენოო. ამას „აბრუნდის“ ეძახიანო. ვის რა ლექსიკონი აქვს, არ ვიცით და აქ კი აზრი ის არის, რომ მართლ-მოყვარეობაც სულელობა ყოფილა. რა-კი კაცს ცხვირი დაუწუნე, თვალებიც უნდა დაუწუნოო, რაც გინდ კაი თვალები ჰქონდესო. „კულტურაა“ მაშ რა ჯანაბაა ამისთანა წესების ღაღადება, ამისთანა ზნე-მადლობა მოძღვრობისა. რაკი ამისთანაებზე მიდგა საქმე, იმის მაგიერ, რომ კაცმა გამოიძიოს ცხვირი მართლა დასაწუნებელი აქვს ამასა და ამას და თვალები მოსაწონებელი, თუ არა, ცოდვად მარტო იმასა ჰხადიან, რომ ერთსავე და იმავეს დასაწუნებელი დაუწუნე და მოსაწონებელი მოუწონე. სიბრიყვე სიბრიყვეა,

ხოლო შეიძლება ადამიანი ამისთანა სიბრიყვემდე ჩამოქვეითდეს! მაშ მართლ მსაჯულებას თქვენში ადგილი არა ჰქონ[illegible] რაღა? თუ ესეა, მაგრამ შეინახონ თავიანთი „კულტურა“ და თუ ესე არ არის, უნდა იცოდნენ, რომ პატიოსანთ მტერთა შორისაც კი მოციქული ნამუსია და ეს ნამუსი თხოულობს ყველას თავისი მიუწყო: რაც კარგია, კარგი სთქვა, რაც ავია, ავი. შეიძლება ავ-კარგიანობის თქმასა და აღნუსხვაში კაცი შესცდეს და აქ გამხილება შეცდომისა საჭირო და არა განკიცხვა, —ავთან კარგსაც რად უხსენებო.

ოქროს ასოებით ჩაიწეროს ვისაც ეხარბება იმისთანა „კულტურა“, რომელიც ჰკუათა მყოფელს კაცს ნებას აძლევს „ჰუმანობა“, კაცთ-მოყვარეობა სულელობად აღიაროს, ზედ-წააკლას მის მიერ უარ-ყოფილი მართლ-მსაჯულებაცა და ყოველივე ეს აქადაგებინოს არამც თუ დასტამბულ სიტყვით, ზეპირ-სიტყვებითაც-კი.

ზნე-მაღალი მოძღვრება ამისთანა ყოველ ადამიანურ სიკეთის უარმყოფელ „კულტურისა“ ამაზე არ შედგა. იგი გვიქადაგებს, რომ შენიანების ცუდი, რაც გინდ მართლად იყოს, არ უნდა სთქვაო, თვალები უნდა დაიბრმავოო, ნურც შენ აიხელ ამაზე თვალსა და ნურც შენიანებს აუხელო. მაშ ჩვენი ცუდი, რაკი ჩვენია, დაზღვეულია მხილებისა და განკითხვით განკიცხვისაგან! ეგ რომელს დავთარში სწერია? თუ თქვენს დავთარში, თქვენი დავთარი ჩვენი სახარება ხომ არ არის? და თუ გინდათ თქვენი სახარება ჩვენ თავზე მოგვახვიოთ, შორს ჩვენგან. ჩვენ ჩვენი სახარება გვაქვს, რომელიც ჰკიცხავს იმას, ვინც თავისს თვალში ძელს ვერა ჰხედავს. ჩვენი „კულტურა“ სულ სხვაა. იგი გვასწავლის, რომ „დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისა თვისისა“. ჩვენის ჰირისა და ავის ცოდნაც ერთი დიდი დარგია თავის თვისის ცნობისა და ვინც თავისი ჰირი იცის, იგი საკურნებელ წამლის პოვნის გზაზედა სდგას და ვაი იმას, ვისაც ანდერძად დაუდვია თავისი ჰირი ან ჰმალოს, ან არ იცოდეს!

აქაურ „კულტურის“ მოძღვარნი „ივერიას“ ცოდვად უთვლიან, ქართველებს წუნი დაუნახესო. ამასაც „აბრუნდი“ დაარქვეს. ნამუსი მწერლობისა რას ითხოვდა, რაკი ამაზე ლაპარაკი საჭიროდ დანახული იქმნა? მართლა დაუნახეს წუნი, თუ მოუგონეს? აი საკითხი და საძიებელი რა იყო. ამის მაგიერ რას გვეუბნებიან? ავ-ზნეობაო ქართველის მიერ ქართველს წუნი რამ შეამჩნიოსო. ეს რასაკვირველია, ქართველის სიყვარულით-კი არ მოსდით, არამედ შემჩნეველის შესაჩვენებლად. მაშ მთელი სახელ-მოსილობა შჩედრინისა, გოგოლისა, ბარბიესი, სფივტებისა და ათასის ამისთანაების, რომელნიც თვით თავიანთ ერის ავსა და ცუდს ამხელდნენ, საცა და რაშიაც-კი მოასწრობდნენ, ავ-ზნეობა დ ერის ღალატი ყოფილა და სხვა არაფერი. გამოდის, რომ ქართველმა ქართველს ყველაფერი უნდა უქოს. აბა, ამაში აზრია რამე გაუთლელ სიბრიყვის მეტი! სომეხმა რომ სომეხს ყველაფერი უქოს, ჩვენ რა დავა გვაქვს: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია. ჩვენ ქართველებს-კი დაგვეხსნან და მოწყალება მოიღონ, თუ მაგისთანა „კულტურულ“ ანდერძებს არ შევიფერებთ და არც მივიღებთ.

გვეტყვიან და გვითხრეს კიდეც: ის რა ჩვენის „კულტურის“ წარმომადგენელია, რომელიც მაგისთანაებს ჰქადაგებსო. „Новое Обозрѣніе“ რაღაა, რომ კინაღამ ბ ნი ველიჩკო ნემსის ყუნწში არ გააძვრინა რუსთა საზოგადოებას ცუდი რად შენიშნე, როცა პუშკინის გამო საუბარი დაიწყეო. თუ მართლა ცუდია, რატომ არ უნდა შეენიშნა და თუ მართალი არ არის: რატომ შეცდომა არ გაუსწორა? განა აქაც იგივე ქადაგება არ არის. შენიანებს განკითხვის თვალით არ უნდა შეხედოო და განა ეს ამბავი ცოდვად არ ჩაუთვალა ამ დარბაისელმა გაზეთმაც?

არა, ბატონებო, ჩვენ ცოტა ოდნად გვესმის, რომ ამაების ქადაგება „კულტურა“-კი არ არის, ღვარძლია და:

ღვარძლის მთესველი. ვერ მომკის
იფქლსა ბასრისა ცელითა

და სწორედ მოგახსენოთ არც „ანწლი მთგცემთ ყურძენსა“.

# უცხოეთი

## საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.

ერთი მეორეს წინააღმდეგი ცნობები მოდის ბრძოლის ველიდგან. დღეს ერთს ამბობენ, ხვალ მეორეს. 20 აპრილს, მაგალითად, დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ ჰაირი-ფაშის პირველმა დივიზიამ ტრიკალა დაიპყრაო. 22 აპრილსაც ცნობები მივიღეთ, რომ ბერძნებმა ეპირი დასცალეს და ოსმალეთის ადგილ-მამულში არც ერთი ბერძენი აღარ მოიპოვებაო. 22 აპრილსავე დეპეშამ გვაცნობა, რომ ოსმალეთის ჯარი ვოლოში შევიდაო. დღევანდელი დეპეშა-კი ამბობს: ოსმალებს იმედი აქვთ, ვოლოსაკენ ჩქარა გზა გაიხსნანო; ის ცნობები, ვითომც ბერძნის ჯარი ეპირს თავს ანებებს და უკან ბრუნდება, ადრეულიაო.

ცხადია, ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობები, იმიტომ მოდის, რომ დეპეშათა სააგენტოები და გაზეთების კორესპოდენტები საქმის მიმდინარეობის ნამდვილს ამბავს ვერ იგებენ და საზოგადოებას მხოლოდ იმ ამბებით აკმაყოფილებენ, რასაც ან ოსმალეთის მხრივ შეიტყობენ და ან საბერძნეთის. ეს-კი მართალი უნდა იყოს, რასაც დღევანდელი დეპეშა გვაცნობებს, რომ ველესტინოსა და პილაფტეპესოსთან ბერძნები და ოსმალები ისევ იბრძვიანო. ეს 4—5 დღეა რაც ოსმალეთის ლაშქარი ველესტინის მიადგა და ვინაიდგან ჯერ არც ერთ მხარეს არ გაუმარჯვნია, ეტყობა, ამ ადგილას ბრძოლა ერთობ გამწვავებულია და ოსმალეთის ჯარს ისე ადვილად არ დაუჯდება აქ საქმე, როგორც თესალიის ვაკე ადგილებში.

— სხვებზედ უფრო ბეჯითად საფრანგეთის გაზეთები ურჩევენ დიდ სახელმწიფოთ, რომ დროა, საბერძნეთ-ოსმალეთის საქმეში ჩაერიოთ და მშვიდობიანობა ჩამოაგდოთო. საყურადღებოა ამ მხრივ გაზ. „Tamps“-ის შემდეგი დიდის გრძნობით დაწერილი სიტყვები:

„არა გმირულის სიკვდილისა, არა ახალთა თერმოპილთა შესახებ უნდა გვქონდეს ლაპარაკიო, ამბობს გაზეთი, არამედ ჩვენი საფიქრებელი და საზრუნავი სიცოცხლეა ბერძნებისა, საჭირო განგების დიდებულთა წინასწარ განზრახულებათა ასასრულებლად. სიცოცხლეა საჭირო, რათა განხორციელდეს დიადი იდეალი და ბერძენთა ერს შეძლება მიეცეს თავისი შესაფერი გავლენა იქონიოს ერთა მსოფლიო ისტორიაზე. ყველა ამის მისაღწევად აუცილებლად საჭიროა, რომ ბერძნებმა დიდთა სახელმწიფოთა შუამავლობას მიჰმართონო“.

# დამაკვირდი

(ვერტეიმერისა)

ხელ-უხვობა ღარიბისა ხშირად უფრო ცრემლს მოჰგვრის კაცს, ვიდრე ტან-შიშველი სიღატაკე.

***

სატირალად გაუხდებოდა თავი, რომ კაცს იმაზე მეტად არ უყვარდეს თავი თვისი, რამდენადაც უყვარს მოყვასი.

***

სიღარიბე ანაზდად მოისპობოდა, რომ მით შესაძლებელი იყოს შეძლებულები გამდიდრდნენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ცივსა, ქარიანსა და წვიმიან დღეებში ადამიანი ხშირად ცივდება და ავად ხდება ყელისა და გულის ტკივილითა და ფილტვების ანთებით. რა თქმა უნდა, რაკი კაცი გაცივდა და ავად გახდა, წამლობა არის საჭირო, მაგრამ ის-კი უკეთესია, რომ ადამიანი ერიდებოდეს ავადმყოფობას და სცდილობდეს თავიდგან აიცილოს. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე ჰმართებს სუსტის გულ-მკერდის პატრონს. ამათ ჯან-საღობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1) ჰავას, 2) სახლს, 3) საჭმელ-სასმელს, 4) ხელობას, 5) თავის მოვლას.

რაც შეეხება ჰავას, სუსტის გულ-მკერდის პატრონისთვის ძლიერ მავნებელია ცხოვრება ცივსა, ნესტიან და ჭაობიან ადგილებში. უფრო მავნებელია საცხოვრებლად ისეთი ადგილები, სადაც ამინდი ხშირად და სისწრაფით იცვლება. ზომიერი სიცივე სასარგებლოა, დიდი სიცივე-კი მავნებელი.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს სუსტის გულ-მკერდის პატრონი თუ გაცივდა და ხველება დააწყებინა. ძლიერ უნდა ერიდოს სიცივეს და ზამთარში თბილ ოთახში ეძინოს.

დიდი ყურადღება უნდა მიეცეს აგრეთვე სახლს. ის ოთახი, რომელშიაც უფრო დიდ ხანს არის ხოლმე კაცი, რაც შეიძლება დიდი, მშრალი და ნათელი უნდა იყოს და თუ ადამიანს შეძლება არა აქვს ასეთი ოთახი იქონიოს, რაც შეიძლება, ხშირად უნდა გამოვიდეს სუფთა ჰაერზედ სასეირნოდ.

საჭმელის შესახებ დაწვრილებით არა ითქმისრა. ყველა კაცი თუ კი დაუკვირდა თავის თავს, ადვილად გაიგებს, რა საჭმელი სწყინს და რა არგებს. ამას-კი ვიტყვით, რომ უკეთესია ცოტ-ცოტა სჭამოს საჭმელი და ხშირად. ზოგიერთ შემთხვევაში მარგებელია კარგი ღვინო და ლუდი, რა თქმა უნდა, სმაშიაც გადაჭარბება არ ვარგა.

რა ხელობისაც უნდა იყოს კაცი, საჭიროა ეცადოს, რომ შრომამ ძლიერ არ დაჰღალოს და არ დაასუსტოს ხოლმე. ხოლო სუსტის გულ-მკერდის კაცი უნდა სცდილობდეს ისეთს ხელობას დაადგეს, რომ სუფთა ჰაერში შესძლოს მუშაობა.

ძლიერ სასარგებლოა სუსტის გულ-მკერდის პატრონისათვის ცივ-წყალში ბანაობა და ყოველ დღე გულ-მკერდის დასველება ცივის წყლით. ამისათვის საკმარისია კაცმა ტილო დაასველოს ცივს წყალში და გულ-მკერდზედ გადისვას ხოლმე.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ძლიერ სასარგებლოა სუსტის გულის პატრონმა, რაც შეიძლება ხშირად, ღრმად შეისუნთქოს ხოლმე ჰაერი, ხოლო იმ დროს, როცა ეს ჰაერი სუფთაა. ექიმები ამტკიცებენ, რომ ეს საშუალება ძლიერ სასარგებლო არისო და სუსტს გულ-მკერდს ამაგრებსო.

* *

ამერიკაში, ქ. ტონავონდაში, გაუმართავთ ერთი ქარხანა, სადაც „ელექტრონის კაცებს“ აკეთებენ. ამ კაცებს ჯარის-კაცის ტანსაცმელი აცვიათ, თავზედ დიდი მუზარადი ჰხურავთ, დადიან ქუჩა-ქუჩა და თან დააქვთ პატარა ეტლი, ეტლში ელექტრონის მანქანაა გამართული, რომელიც ამ კაცს ატარებს, გარედგან-კი განცხადებები აქვს მიკრული. ქარხნის პატრონს განზრახვა აქვს ამ „ელექტრონის კაცს“ ფონოგრაფიც გაუკეთოსო, რომ სიარულის დროს ილაპარაკოს კიდეც და გამვლელ-გამომვლელ ხალხს სხვა-და-სხვა საქონლის ფასი უთხრას.

## ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ჟურნალი „ჯეჯილი“.

(წერილი რედაქციის მიმართ)

პატივცემულმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი წერილი „ხრიკების ხუხულა ბ. გიორგი წერეთლისა“ („ივერია“ № 54, 57 და 59 ამ წლისა) გაათავა შემდეგის წინადადებით: „მოდით, ერთს რომელსამე უნივერსტეტის ქართველ პროფესორებს და სტუდენტებს ვსთხოვოთ, პასუხი მოგვცენ: 1) უდრის თუ არა „დედა-ენა“ თავისი ღირსებით ამ ჟამად საუკეთესო სახელმძღვანელოებს ევროპისასა? 2) მდარეა თუ არა „კვალი“ და „ჯეჯილი“ თვით უმდარესს ევროპიულს მზგავს გამოცემაზედ. თუ ამ ორივე კითხვაზედ ჰო სთქვეს „კვალ-ჯეჯილის“ რედაქციამ გადასცეს საბავშო ჟურნალი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ თუ არა და მე გადავცემ ამავე საზოგადოებას „დედა-ენას“ საკუთრებადო“ და დასძინა: „რედაქცია, თუ გამტყუნდა, მოიშორებს მძიმე ტვირთსა, რომლის ზიდვა ღირსეულად არ შეუძლიან და რომელიც ზარალის მეტს არას აძლევს, როგორც თითონ წუწუნებენ; გამარჯვება-კი მისი დამაკარგვინებს საკუთრებასა, დასრულებულსა და შემოსავლიანსა და მთლად დააკმაყოფილებს მის სიბრაზეს ჩემდამიო“.

არ ვიცი, მიიღებს თუ არა „კვალ-ჯეჯილის“ რედაქცია ამ წინადადებას, ან იკისრებენ თუ არა რომელისამე უნივერსტეტის ქართველი პროფესორები და სტუდენტები მოყვანილ კითხვების გადაწყვეტას. ეს-კი ცხადია, რომ ძნელია ამ კითხვებზედ გარდაწყვეტილი ან „ჰო“-ს და ან „არა“-ს თქმა; ნამეტურ, მეორე კითხვაზედ შეუძლებელია მოკლედ პასუხის მოჭრა, რადგან ყოველივე უნდა დაფასდეს გარს შემორტყმულ პირობათა და გარემოებათა მიხედვით. როგორ შეიძლება, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების შედარება ევროპიულ გამოცემებთან და ამ უკანასკნელთა კვალობაზე დაფასება? დავანებოთ „კვალს“ თავი, რომლის შესახებაც ჯერ ბეჭვდითის სიტყვით მაინც არ დაუწყია „წუწუნი“ რედაქციას და გადვიდეთ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილზედ“, რომელზედაც, მართლაც, არა ერთხელ გვსმენია და წაგვიკითხავს „არსებობის დღეები დათვლილი აქვსო და ვკითხოთ, მდარეა თუ არა „ჯეჯილი“, როგორც თანამედროვე ქართული საყმაწვილო ჟურნალი და შეიძლება თუ არა დღეს ჩვენში იმ სივრცის შესადარად, რაც „ჯეჯილს აქვს, უკეთესის შინაარსის საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა? აი, ამ კითხვაზედ ადვილია პასუხის მიცემა, მაგრამ მე საჭიროდ მიმაჩნია ჯერ მოვაგონო მკითხველ საზოგადოებას შემდეგი.

როგორც ვიცით, „კვალის“ ამ წლის № 10-ში დაიბეჭდა „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემლის ქ-ნ ან. თ.-წ—ს „ღია წერილი მოსკოველ სტუდენტების მიმართ“, რომელშიაც პატივცემულმა ავტორმა, სხვათა შორის, გულ-ახდით სთქვა: „იმის პასუხათ-კი თუ როგორ წავიყვან საქმეს ამ 1897 წ. უნდა მოგახსენოთ, ხელის მომწერნი ისე მცირენი არიან, რომ ჟურნალის არსებობა განსაცდელშიაო.“ რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდა ამ წერილს და ჩვენმა გაზეთებმაც წარმოსთქვეს თავისი აზრი მის შესახებ. „ივერიამ მთელი მეთაური უძღვნა, რომელშიაც სცდილობდა გამოერკვია მიზეზი „ჯეჯილის“ სამწუხარო მდგომარეობისა: იმიტომ არ ჰყავს ამ ჟურნალს საკმაო რიცხვი ხელისმომწერთა, რომ როგორც საყმაწვილო ჟურნალი, ვერ ასრულებს თავისს მოვალეობას და ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას, ანუ იმიტომ, რომ უკანასკნელს ჯერ არც-კი აღძვრია ეს მოთხოვნილებაო? მართალია, გადაჭრილი პასუხი არ უთქვამს მეთაურის ავტორს ბ-ნს ფარნაოზს ამაზე, მაგრამ ყოველს შემთხვევაში მეორე მოსაზრება უფრო საფუძვლიანათ იცნო და ისურვა ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლება და თავის საჭიროებათა შეგნება, რაც გააუმჯობესებდა ჩვენს ერთათ-ერთს საყმაწვილო ჟურნალის ბედსაც. „ცნობის ფურცელმა“-კი, თითქო კიდეც უხარიან „ჯეჯილის“ ამ ნაირი, არა სასურველი, მდგომარეობაო, პირდაპირ გამოაცხადა, რომ „ჯეჯილის“ გამგენი უნიჭონი არიან და დიდათ დამნაშავენიც, რომ ჟურნალს სულის ამოხდას უპირებენ და იმისთანებს არ უთმობენ, ვინც შეიძლებდა მის გამობრუნებასო. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი და დღეს ჩვენი დიდათ პატივცემული და დამსახურებული პედაგოგიც იმასვე ამბობს, რაც „ცნობის ფურცელმა“ სთქვა: საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა იმისთანა „მძიმე ტვირთია, რომლის ზიდვაც ღირსეულად არ შეუძლიან ახლანდელს რედაქციას და „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადასცესო.

სრულ სიმართლეს ჰბრძანებს ბ-ნი გოგებაშვილი: საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა ჯერ ყოველგან მძიმე ტვირთია, რადგან საბავშო მწერალნი ერთობ ძვირობენ, თორემ ჩვენში, სადაც ჩვეულებრივის ჟურნალ-გაზეთების საქმეც-კი ვერ მოგვარებულა რიგიანად, რასაკვირველია, მძიმე ტვირთი იქნება, თუნდაც რედაქტორ-გამომცემლად თვით გენიოსიც დააყენოთ, რადგან როგორც ბატონი ფარნაოზიც ამბობდა, ჩვენს საზოგადოებას ჯერ არა აქვს შეგნებული თავისი საჭიროებანი და არ არის იმდენად გაცნობიერებული, რომ რაც მისთვის სასარგებლოა, ღირსეულად დააფასოს. რა „ივერიის“ მეთაურის ავტორი ბ-ნი ფარნაოზი, თვითონ პატივცემული იაკობ გოგებაშვილი არ იყო, რომ ჰგოდებდა ამას წინათ, ჩვენი ერთათ-

ერთი ყოველ-თვიურის ჟურნალის „მოამბის“ საქმე განსაცდელშია და ვიზრუნოთ მისთვისო? „მოამბე“ ხომ, როგორც ის ამბობდა, მშვენიერი ჟურნალია, ყოველისფრით სრული და უნაკლულო; თითქმის მეტია იმაზე, რაც უნდა იყოს (როგორც მახსოვს, ბ-ნი გოგებაშვილი ურჩევდა რედაქციას, ერთობ ბევრი მასალაა ყოველს წიგნში, რაც ადიდებს წიგნს და ბევრს ხარჯს ითხოვს, და ამიტომ უფრო პატარა წიგნებათ ჰბეჭდეთ ჟურნალიო). მაშ რაღ უნდა იყოს ცუდად „მოამბის“ საქმე? რატომ არ უნდა ჰყავდეს საკმაო რიცხვი ხელის-მომწერთა, თუ რომელიმე ჟურნალ-გაზეთის ჩვენში საზოგადოებისაგან უყურადღებოდ დატოვება მხოლოდ მისის რედაქციის უვარგისობის ბრალია?

საკვირველია, რატომ ორ ერთნაირს შემთხვევაში ერთხელ საზოგადოებას ესაყვედურება პატივცემული ავტორი და ესაყვედურება საფუძვლიანად (როცა გამოცემის საქმე ვერ მიდის კარგად) და მეორედ-კი სრულიად ივიწყებს საზოგადოების გულგრილობას და ამბობს, რედაქცია უვარგისია და იმიტომ არც ხელის-მომწერლები ჰყავსო?! ვთქვათ, მართლა უვარგისია „ჯეჯილი“-ს რედაქცია, თანამშრომლები? თანამშრომლებიც უვარგისნი არიან? ვთქვათ, არც ისინი ვარგანან, მაგრამ უკეთესები სად მოვძებნოთ, საიდგან მოვიყვანოთ? მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვისაც-კი კალამი აუღია ხელში ჩვენში და სწერს, სცდილობს თავისი ნაწარმოები მიაწოდოს ერთათ-ერთს ჩვენს საყმაწვილო ჟურნალს და აწვდიან კიდეც ყველანი, მაგრამ თუ „ჯეჯილი“ მაინც არ არის იდეალური საყმაწვილო ჟურნალი და ვერ შეედრება ევროპიულ საყმაწვილო ჟურნალებს, რედაქცია არაფერს შუაშია, რადგან, ვინც უნდა იყოს რედაქტორად, შეუძლებელს ვერ შესძლებს და ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ შეჰქმნის თავისისის სურვილისამებრ კარგ საყმაწვილო პოეტს; ხოლო, ვინც-კი თავი იჩინა ჩვენში ამ მხრით, ახლაც მონაწილეობას იღებს „ჯეჯილში“, გარდა თვითონ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისა, სამწუხაროდ. მართლაც, ჩვენში დღეს, როგორც საბავშო ლექსების მწერალი, ცნობილია თითქმის მარტო შ. მღვიმელი და ყოველ „ჯეჯილის“ ნომერში ჰხედავთ მის ლექსებს; როგორც საბავშო ბელლეტრისტს ტოლი არა ჰყავს, არამც თუ ჩვენში, ბევრგან სხვაგანაც, თ. რაზიკაშვილს და, როგორც-კი დასწერს რასმე ამისთანას (აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ ხშირად არ ატკბობს პატივცემული ავტორი თავისს პაწია მკითხველებს, ალბად ან ვერ იცლის, ან საიმისო მასალას ვერა ჰშოულობს, რაც სამწუხაროა, რასაკვირველია, მაგრამ „ჯეჯილის“ რედაქციას აქ ბრალი არა აქვს), ჰბეჭდავს „ჯეჯილში“ (იხ. № III, 1897 წ.); როგორც სამეცნიერო ამბავთა მომთხრობი შესანიშნავია ჩვენი ნიჭიერი და დაუღალავი პოპულიარიზატორი ილია ალხაზიშვილი, რომელიც „ილიკოს“ სახელით „ჯეჯილის“ დაარსებიდგან დღემდე თანამშრომლობს ამ ჟურნალში. დაუმატეთ ჩამოთვლილთ ბ-ნნი ვაჟა-ფშაველა, გ. წყალტუბელი, ა. მირიანაშვილი, განდეგილი და სხვანი, რომელთა, ნაწერებსაც ხშირად შეხვდებით „ჯეჯილში“ (იხ. პირველი სამი № ამ წლისა) და დამეთანხმებით, რომ სხვა არავინ გამოჩენილა ჯერ ჩვენში, როგორც საბავშო მწერალი და თუ-კი გამოჩნდა ვინმე, დარწმუნებული ვარ, რედაქცია სიამოვნებით გაუღებს „ჯეჯილის“ კარს და, თუ ავტორი გაჭირვებული იქმნა, გონორარსაც მისცემს, როგორც საზოგადოდ აძლევს ყველას, ვინც-კი საჭიროებს. უცხო ენებიდან გადმოკეთებული და ნათარგმნი ნაწერებიც ჩინებულად აქვს ყოველთვის არჩეული „ჯეჯილის“ რედაქციას. მაგალითად „პატარა ლორდის თავ-გადასავალი“, თარგმანი ე—კოსი, რომელიც წელს იბეჭდება „ჯეჯილში“, სხვათა შორის, მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობაა ყოველ ნაირად და ძალიან ბევრი დიდის სიამოვნებით წაიკითხავს...

დიახ, ჩემის აზრით, ჩვენი საზოგადოების შეუგნებლობის ბრალია (ცოტა, შეიძლება ხელ-მოკლეობაც იყოს ამისი მიზეზი, რადგან მაინც-და-მაინც მდიდარი ჩვენში არავინ არის და ხელ-მოკლე კაცისთვის-კი 4—6 მანეთიც-კი ფულია), რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით ჟურნალ-გაზეთები, ნამეტურ თვიური ჟურნალები და განსაკუთრებით საყმაწვილონი ვერ ხეირობენ, როგორც რიგია, ისე. როგორც იმ ცნობებიდგან სჩანს, რომელიც „ცნობის ფურცელში“ იყო მოყვანილი, ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე უფრო ბევრი ხელის-მომწერი ქუთაისში, ბათუმში და ალბად სხვაგანაც ყველგან ამ გაზეთს ჰყოლია, მაგრამ, იმედია, თითონ პატივცემული ვალ. გუნიაც არ იტყვის, რომ ის სხვა ქართველ რედაქტორებზე უფრო ნიჭიერია და იმიტომ ჰყავს უფრო ბევრი ხელის-მომწერი იმისს გაზეთს. ეს ფაქტი აშკარად ამტკიცებს, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის ამ ჟამად საკმაო ყოფილა მხოლოდ „ცნობის ფურცლის“-თანა გაზეთი (შეიძლება, გაზეთის სიიაფეც ხელს უწყობდეს ამ გარემოებას) და სერიოზულ ჟურნალ-გაზეთებისთვის ჯერ არ ყოფილა იგი მომზადებული, ხოლო ვისაც თითონაც არ გაუღია კითხვის გემო და მხოლოდ ახალ ამბების შეტყობით კმაყოფილდება, ის, რასაკვირველია, არც თავისის შვილებისთვის იზრუნებს ამ მხრით. აბა რად გამოიწეროს საყმაწვილო ჟურნალი, როცა ახალი ამბები იმაში არ არის და სხვა რამის წაკითხვა თავისთვისაც მეტად მიაჩნია, არამც თუ ბავშვისთვის დახარჯოს ამაზედ ფული!

დასასრულ, უნდა ვსთქვა, რომ პირადად მე სრულიადაც არა ვარ იმის წინაამდეგი, რომ „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელმა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადასცეს თავისი ჟურნალი, თუ ორივე მხარე თანახმა იქნება. რასაკვირველია, სისულელე იქნება, რომ რომელისამე ჟურნალისა და ან გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი გაჯიუტდეს და, როცა თავის გამოცემის დახურვას მოინდომებს, სხვას არ დაუთმოს იგი, თუმცა მეორეს მხრით მართალს ამბობს თვით ქ-ნი ან. თ-წ—საც: „თუ ჩვენი საზოგადოება საჭიროებს საყმაწვილო ჟურნალს და მხოლოდ „ჯეჯილის“ უვარგისობის გამო არ ხეირობს, რატომ სხვა არ იწყებს ახალი ჟურნალის გამოცემას“-ო („კვალი“ № 10). მართლაც, თუ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ჰსურს და შეუძლია კიდეც საყმაწვილო ჟურნალის გაძღოლა, რატომ არ აიღებს ახალ ჟურნალის გამოცემის ნებას? მე მგონია, რომ, თუ-კი მოინდომებს, ახალ ჟურნალის დაარსების ნებასაც მიიღებს, რაღაი უკვე დაარსებულის შეძენა შეუძლია და, თუ ერთის წლის განმავლობაში კარგა წაიყვანენ საქმეს, მაშინ ხომ „ჯეჯილის“ არსებობა თავის თავად მოისპობა“, როგორც აბოლოვებს თავის წერილს „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელიც...

დუტუ მეგრელი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აპრილი

**სიმფეროპოლი.** ყირიმის მაჰმადიანთა სასულიერო მთავრობამ დაჰგზავნა მეჩეთებში წერილები მოსულმანთა მიმართ და ურჩევს ყველას, შავის ჭირის გამო მექაში ნურავინ წავა სალოცავადაო, და ამასთან დასძენს, რომ თვით ყორანი უკრძალავს მაჰმადიანებს ჭირიან ადგილებში წასვლასაო.

**ვერნიე.** 21 აპრილს აქ მიწისძვრა მოხდა.

**პარიჟი.** ცეცხლმა ხუთმეტ წუთში გადაბუგა საქველ-მოქმედო ბაზარი, მაღალ წოდების ქალთა მიერ გამართული ღარიბთათვის. 200-მდე კაცი დაიწვა. მძიმედ დაჭრილი ბევრია, ბევრიც არსადა სჩანს.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმან ფაშა უკან გაიხმეს. ფაშა დაბეჯითებით თხოულობს, დარჩენის ნება მომეცითო.

ის ხმები, ვითომ ბერძნებს ეპირი დაუცლიათო, ჯერ-ჯერობით მართალი არ გამოდგა.

არტის ყურესთან დაიღუპა საბერძნეთის სამხედრო გემი და ამით გზა შეკრულა საბერძნეთის იმ გემებისთვის, რომლებიც ამ ყურეში დგანან.

**ბუქარესტი.** მინისტ პრეზიდენტად ნამყოფი თავადი გიკა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

**სოფია.** ბოლგარიის მთავრობამ რუსეთის მთავრობას მადლობა განუცხადა გრაფის მურავიოვის მოწერილობისა გამო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბოლგარიის სამთავრო წესიერად იქცევაო.

24 აპრილი

**პარიჟი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ, როდესაც საქველ-მოქმედო ბაზარს ცეცხლი წაეკიდა, 111 კაცი დაიწვაო, ამათში 50 ვერ იცნეს. სხვათა შორის ცეცხლმა იმსხვერპლა ალანსონის ჰერცოგის მეუღლე, ავსტრიის იმპერატრიცას და.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს დეპეშით სწერენ ათინიდგან: „მინისტრებმა განაცხადეს, რომ დამარცხების გამო პასუხის გება არ ედება მეფის ძეს კონსტანტინეს. ის იმ აზრისა იყო, რომ ლარისსა უნდა შევიმაგროთო, მაგრამ უმთავრესი შტაბი არ დაეთანხმა და ბრძანება გასცა, უკან დაიწიოს ჯარმაო.

**კონსტანტინეპოლი.** ხმა დადის, რომ ოსმალეთის ჯარი ფარსალში შევიდაო.

**კონსტანტინეპოლი.** ჯარის სარდლად ნამყოფი იანინში მუსტაფა-ფაშა კონსტანტინეპოლში მოიყვანეს დარაჯთა შემწეობით, ღირსება ჩამოართვეს და სამხედრო სასამართლოში უნდა მისცენ.

**ვოლო.** 15,000 ბერძენმა დომოკოსაკენ დაიწიეს. ფარსალი უკან დარჩათ. ოსმალეთის დიდძალი ჯარი ფარსალთანა სდგას.

**ათინა.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, ომი განვაგრძოთო.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ შეატყობინა თავის წარმომადგენლებს საზღვარ-გარედ, რომ ამიერიდგან შეაყენეთ შეკრებილა თავის ნებით ჯარში წამსვლელთაო.

პოლკოვნიკი ვასოსი დანიშნულ იქმნა ეპირის ჯარის სარდლად, ამ თანამდებობიდგან გადაყენებულ პოლკოვნიკის მანოსის ადგილას. გენერალის მაკრისისა და პოლკოვნიკების მასტრაპასისა და ანტონოვიჩის ადგილებზედ, რომლებიც თესალიაში სარდლებად იყვნენ, დანიშნულ იქმნენ პოლკოვნიკები: მეტაკსასი, ვასილიადისი და კორპასი. მაიორი კონსტანტინიდისი კრიტის კუნძულიდგან გაიხმეს და დანიშნეს მეფის ძის კონსტანტინეს შტაბის უფროსად.

პეტერბურგის ბირჟა, 22 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —„ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $210^{3}/_{4}$ |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | $101^{1}/_{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^{3}/_{8}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^{3}/_{8}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98^{3}/_{4}$ | — „ | —„ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 279 | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 442 | — | —„ |

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ამას წინად „ცნობის ფურცელში“ იყო გამოცხადებული, რომ ზოგიერთთ ჰსურთ მომილოცონ ოცდა თხუთმეტის წლის სამსახური ეპისკოპოსის ხარისხისა ცხრას მომავალს მაისს. ამის გამო ვაცხადებ, რომ მე მსურს ცხრა მაისს შიო მღვიმელის მონასტერში ვწირო, რადგან ამ დღეს მიცვალებაა ღირსისა მამისა ჩვენისა შიო მღვიმელისა. ამისთვის ვთხოვ მილოცვის მსურველთა, ნუ შესწუხდებიან მილოცვისათვის და ამასთან უძღვნი ჩემს გულითადს მადლობას ვუცხადებ.

წინამძღვარი შიომღვიმის მონასტრისა ეპისკოპოსი ალექსანდრე.


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(9)

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად „საზოგადოების“ წესდების მე-12 § ის, კვირას, 27 აპრილს დილის 12 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალ წლის ხალჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა. (5—უ—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 24 го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.